ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტს შორის

ქ. ბათუმი 27 ნოემბერი, 2020 წ.

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი რექტორის მერაბ ხალვაშის მიერ და მეორე მხრივ სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი წარმოდგენილი რექტორის მაია ჭიჭილეიშვილის მიერ, შემდგომში წოდებულნი „მხარეებად", ერთობლივი ინიციატივების განხორციელების მიზნით, ვთანხმდებით ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შემდეგი პირობებით:

1. მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმის საგანია ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნებისათვის მხარეებს შორის ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპებზე დაფუძნებული თანამშრომლობა.

2. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმის მიზანია მხარეთა საერთო ინტერესების სფეროში შემავალ აქტუალურ საკითხებზე თანამშრომლობა, სასწავლო-სამეცნიერო/კვლევითი პროექტების განხორციელება, ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა.

3. მემორანდუმის ამოცანები

მემორანდუმის ამოცანებია:

3.1 ორმხრივი თანხმობის შემთხვევაში, საერთო ინტერესების სფეროში შემავალი საკითხების კვლევა და პროექტების განხორციელება, აქტუალურ საკითხებზე

ერთობლივი სამუშაო შეხვედრების, სეზონური სკოლების, სემინარების, კონფერენციების ორგანიზება;

3.2 სტუდენტებს შორის გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული უნარ -ჩვევების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

3.3 უნივერსიტეტების არსებულ ბაზებზე ერთობლივად დაგეგმილი ღონისძიებების ჩატარება;

3.4 სტუდენტთა თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების სასწავლო ბაზაზე (შესაბამის ფაკულტეტზე) ჩატარება, განსაკუთრებით საინჟინრო/შემოქმედებითი ფონდების, მასალებისა და ხელსაწყოების ურთიერთსარგებლობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

3.5 სტუდენტთა სტაჟირების უზრუნველყოფა;

3.6 მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზნების მისაღწევად სხვა ღონისძიებების განხორციელება.

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებისა და ერთობლივი პროექტების განხორციელებისათვის მხარეთა კუთვნილი რესურსების ერთობლივი გამოყენება, კონკრეტული ღონისძიებისა თუ პროექტის მიზნების რეალიზებისათვის.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედების ათი წლის ვადით;

5.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ყოველგვარი მიზეზის გარეშე წინამდებარე მემორანდუმის გაუქმება მეორე მხარისთვის 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე და კონკრეტული მიზეზით გაუქმება, მეორე მხარისათვის 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების მიწოდების საფუძველზე;

5.3. ამ მემორანდუმის გაუქმების შემდეგ მხარეებმა (მათი შესაძლებლობების ფარგლებში) უნდა განახორციელონ ყველა შესაბამისი და აუცილებელია ღონისძიება მემორანდუმის ფარგლებში უკვე დაწყებული პროექტების დასასრულებლად;

5.4. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

6. დასკვნითი დებულებები

6.1. ნებისმიერი შეტყობინება, მოთხოვნა და თანხმობა, რომელიც მოთხოვნილია ან ნებადართულია, გაიცეს ამ მემორანდუმის შესაბამისად, წერილობითი ფორმით და გაიგზავნოს ფოსტით ან გადაიგზავნოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მხარეთა მიერ წინამდებარე მემორანდუმში მითითებულ რეკვიზიტებზე;

6.2. მხარეები ადასტურებენ, რომ არ ყოფილა არანაირი პირდაპირი თუ არაპირდაპირი სარგებელი შეთავაზებული მეორე მხარისათვის ამ მემორანდუმთან დაკავშირებით. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ შეთანხმების ნებისმიერი დარღვევა მემორანდუმის არსებითი პირობების დარღვევაა;

6.3. მხარე, რომელსაც ფორსმაჟორული გარემოებების გამო, ხელი შეეშლება თავისი ვალდებულებების შესრულებაში, არ უნდა იქნას განხილული ამგვარი ვალდებულებების დამრღვევად და მიმართოს ყველა შესაძლო საშუალებას ფორსმაჟორულ გარემოებათა შედეგების შესამსუბუქებლად. ამავე დროს, მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ მემორანდუმის შემდგომი განხორციელების საშუალებებზე.

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ.№32/ 35
რექტორი, ასოცირებული პროფესორი
მერაბ ხალვაში

ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი
ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. 32
რექტორი, პროფესორი
მაია ჭიჭილეიშვილი